№ 147. 29 ივლისი, პარასკევი. 1866—1883 29 ივლისი, პარასკევი. № 147.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.

ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ქუთაისის საქალებო წმ. ოლგის გიმნაზიისაგან.

ვაცნობებთ მშობლებს ამ გიმნაზიაში მოსწავლე ქალებისას, რომ მისაღები და ხელ-ახლა დასაჭერი გამოცდა დაიწყება ამ წელს 20 აგვისტოდგან. ამიტომ ვთხოვთ მშობლებს მოიყვანონ თავისი შვილები აღნიშნულ დროს და მასთანვე შემოიტანონ ხვედრი სწავლის ფულებისათვის გადასახადი ფული. სწავლა დაიწყება პირველის ენკენისთვიდგან.

მოსწავლე ქალები, რომელნიც არ გამოცხადდებიან დანიშნულ დროს უპატივსადებ მიზეზოდ და ან არ შემოიტანენ სწავლის ფულებისათვის გადასახადს ფულს,—გიმნაზიიდგან გამოსულებათ ჩაითვლებიან. (3—3)

## ქუთაისის პროგიმნაზიისაგან.

რადგან სივიწროვისა გამო შენობისა, რომელშიაც პროგიმნაზია თავსდება, შიგ მყოფთა შეგირდთა დატევაც სჭირს, ამიტომ ამ წელს როგორც უმთავრესს (основной) ისე «პარალელურ» კლასებში ახალი შეგირდები არ მიიღებიან. არის მხოლოდ 30 ადგილი მოსამზადებელ კლასში. თუ, ვინიცობაა, ამ კლასში შემოსვლის მსურველთ რიცხვი აღემატა აღნიშნულ 30-ს, მაშინ მიიღებიან ისინი, ვინც დაიჭერს შეცილებითს (конкурсный) გამოცდას. მისაღები გამოცდა დაიწყება 20 აგვისტოდგან.

გარდა ამისა, პროგიმნაზიის მთავრობა უმორჩილესად სთხოვს მშობლებს იმ შეგირდებისას, რომელნიც აქ სწავლობენ, რომ მათ დროით იზრუნონ, თავიანთ შვილებს ფორმის ტანსაცმელი შეუკერონ და სწავლის ფულებისათვის გადასახადი ფული დროზედ შემოიტანონ. (3—3)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

26 ივლისს.

ბერლინი. კრაშევსკიმ შეიტანა 30,000 მარკა და განთავისუფლეს; პოლიციის მხედველობის ქვეშ კი ისევ დარჩება. ის წავიდა დრეზდენში.

27 ივლისს.

პეტერბურღი. რადგან სასურველია გარეშე ვაჭრობის ნამდვილის აღებ-მიცემობის გაგება, ტამოჟნის დეპარტამენტი ცირკულიარით სთხოვს ვაჭრობისა და მანუფაკტურის ადგილობრივ კომიტეტებს და ბირჟის კომიტეტებს დაეხმარონ მას საქონლის ნამდვილად დაფასებაში. ეს იქნება პირველი მაგალითი ფასების შეკრებისა, რა სისტემაც კარგად მოქმედობს გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, საფრანგეთში და ბელგიაში.

გუშინ ვიღაც უცნობმა პირებმა, რომელნიც ვოზნესენის პროსპექტზედ შარაბანით მიდიოდენ, გადმოაგდეს ქუჩის ყუთი რაღაც ნივთიერებით გატენილი. ამ ნივთიერებას ცეცხლი მოეკიდა და სულის-შემხუთველი კვამლი ავარდა.

გაზეთები ამბობენ, რომ არის განზრახვა—შესდგეს ყველგან სოფლის ცეცხლის-მქრობელი დრუჟინა და სოფლელებს გააცნონ უბრალო ცნობები, ცეცხლის გაქრობისათვის საჭირონი.

პეშტი. გუშინ აქ ურიების წინააღმდეგ არეულობა მოხდა. ეს არეულობა გამოიწვია შარფის ოჯახის მოსვლამ. შარფი უმთავრესი ბრალ-დებული იყო ნირედგაზის საქმეში; ხალხი ხმაურობდა და ფანჯრებს ამტვრევდა იმ სასტუმროში, სადაც შარფი ჩამოხდა. პოლიციამ დაშალა ხალხი.

ბეირუტი. აქ ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავად-გახდომისა.

მიუნხენი. აქ გაიარა დიდმა მთავარმა პავლე ალექსანდროვიჩ-მა.

ერფურტი. ლიუტერის ოთხასის წლის იუბილეი დაიწყო; ყველა უნივერსიტეტებიდამ სტუდენტების დეპუტაციები მოვიდნენ. განგებ შეკვეთილ მატარებლებით განუწყვეტლივ მოდის ხალხი ამ დღესასწაულზედ დასასწრებლად; შესდგა ისტორიული პროცესია, რომელიც წარმოადგენს იმ სურათს, როდესაც იმპერატორის ქალაქი ერფურტი დიდის ყოფით მისდევდა რეფორმატორს, ვორმსის იმპერატორის სეიმზედ გამგზავრებულს.

იშლი. აქ მოვიდა გერმანიის იმპერატორი; წინ მიეგებნენ ავსტრიის იმპერატორი და იმპერატრიცა.

თბილისი, 28 ივლისს.

ტრანზიტი მოისპო... იმედი ჰქონდათ, რომ რამწამს ტრანზიტი მოისპობა, რუსეთის უძრავი საქონელი შუა-აზიისა და სპარსეთისაკენ წავა და ამით მარტო რუსების ვაჭრებს დარჩებათ ეს თვალ-უწვდენელი ალაგი მათის სავაჭროს გასასაღებლად და რაკი რუსულ საქონელს უფრო მოკლე და მარჯვე გზა ექნება აზიისკენ, ფრანცუზული და ინგლისური საქონელი ცილობას ველარ გაუწევსო... მაშინ ჩვენს ბაქო-ბათუმის რკინის გზასაც უნდა რუსულის საქონლით დატვირთული ვაგონები ზედიზედ ეგზავნა კასპიის ზღვისკენ სპარსეთსა და შუა-აზიაში გასანაწილებლად.

მაგრამ... ფრანცუზები და ინგლისელები ისე მარდად ვაჭრობენ, რომ შეუძლიანთ ნაკლებს სარგებელს დასჯერდენ. და აი როდესაც კავკასიის რკინის გზას და კასპიის გემებს ერთის ადგილიდგან მეორეზე მარტო ნავთი გადააქვთ და შუა-აზიისა და სპარსეთისათვის დანიშნული რუსული საქონელი არსადა სჩანს, ის წყეული ევროპიელები საქმეს კიდეც შესდგომიან და თავიანთ სავაჭროს გზებს უფართოებენ, ნავთ-საყუდლებს იკეთებენ და უეჭველია მალე ტრაპეზუნიდამ სპარსეთამდე რკინის გზის გაყვანასაც შეუდგებიან. ჯერ-ჯერობით კი აი რასა სწერენ ტრაპეზუნიდამ სომხურ გაზეთს «არძაგანკს»:

«ტრანზიტის მოსპობის შემდეგ ჩვენი ქალაქი მოცოცხლდა; ამ საუკუნეში სამჯერ მოხდა ტრანზიტის მოსპობა და გახსნა და სამივეჯერ ჩვენი ქალაქი ან კეთდებოდა, ან ეცემოდა ტრანზიტის შესაფერად. ეხლა აქ ორი კამპანია სდგება თავრიზთან ვაჭრობის გასამართავად: ერთი ფრანცუზებისა, მეორე სპარსელის მდიდარის მოვაჭრეებისა. საქონელს ერზერუმზედ უპირებენ გზავნას. ოსმალეთის მთავრობა ძალიან ხელს უწყობს ამ ვაჭრობას; ტრაპეზუნსა და ერზერუმს შუა შოსეს შეკეთებას შეუდგნენ. 30000-მდე ლაზებმა და გათათრებულმა ქართველებმა და სომხებმა იმედი მოიცეს სამუშაოს შოვნისა.

როგორცა სჩანს, იმ მხარეს მოცოცხლება მოელის, მუშა-ხალხს სამუშაოს შოვნა, გზებს გაუმჯობესობა, და ჩვენს მხარეს სრულიად წინააღმდეგი.

ერთი რამ მძიმე საბუთი ჰქონდათ ტრანზიტის მოსპობის მომხრეთ; ეს ის რომ რაკი ტრანზიტი მოისპობა, კონტრაბანდით საქონლის შემოტანასაც ვერავინ გაბედავსო. კონტრაბანდი ისეთი მავნებელი რამ არის, ისე ხელს უშლის წესიერს ვაჭრობას და ისე მოულოდნელად, უსამართლოდ ამდიდრებს ორიოდ სინიდისზედ ხელაღებულს კაცს და ღუპავს უმრავლე-

«დროების» ფელეტონი, 29 ივლისი.

### სერგეი მესხის სახსოვრად

„И не иди во станъ безвредныхъ,
Когда полезнымъ можешь быть!“
Некрасовъ.

ერთი ღირსეული ლიტერატორი და მოღვაწე მოაკლდა ჩვენს მოღვაწეებით ერთობ ღარიბს საზოგადოებას. გარდაცვალებულმა «დროების» აღრინდელმა რედაქტორმა სერგეი მესხმა თავის სიყრმე, თავის გონებითი, ზნეობითი და ფიზიკური ძალ-ღონე, შესწირა მთლად ერთს საქმეს, დიალ რომ პატიოსანსა და სალმრთოს, თავის სამშობლოს სამსახურს. ადვილი სათქმელია,—თოთხმეტი წელიწადი მუდმივ შეუწყვეტელად თავის ხალხის გონებითს განვითარებას ემსახურაო, «დროების» რედაქტორი იყოვო; მაგრამ საქმით კი ეს ისე ძნელია, რომ შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმისთანა რჩეულის ადამიანისათვის, რომელიც უხვად შემკობილია ბუნებისაგან ხასიათის სიმტკიცით და გამტანობით, მტკიცე და შეურყეველის ნების ძალით და თან რომელსაც თავის სიცოცხლის საგნად აღუარებია ერთი რაიმე დედა-აზრი, ერთი რაიმე იდეა და ისეა გამსჭვალული, გატაცებული ამ იდეით, რომ მხოლოდ მის ჰკურჭელად შეუძლიან ყოფნა, მხოლოდ იმით შეუძლიან სულდგმულობა და მწარე ცხოვრების ატანა. თუ კაცი ამ თვისებათ მოკლებულია; თუ იგი თავდაპირველად თავის საკუთარს არსებობაზედ ჰფიქრობს; თუ იმას ძვალსა და რბილში არა აქვს გამჯდარი და თბედ გარდაქცეული უკვდავის პოეტის უკვდავი სიტყვები:

«არც კაცი გარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!»

ის კაცი, ვიმეორებ, კრუხივით ვერ დააჯდება თოთხმეტის წლის განმავლობაში იმისთანა საზოგადო საქმეს, როგორიც არის ჩვენში დღესაც გაზეთის გამოცემა და ლიტერატურის თავის პროფესიად გახდომა. ამ გვარმა, ჩვენში ასე ვსთქვათ, უმადურმა მოღვაწემ თავის გამოსვლისათანავე სამოქმედოდ უნდა დაიწეროს გულის ფიცარზედ ნ. ბარათაშვილის ნაღვლითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე სიტყვები:

«ნუ შეეფარვი, ჩემო მერანო, ნუცა სიცხესა,
ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავ-განწირულსა შენსა მხედარსა.»

განსვენებული სერგეი მესხიც სწორედ ასე თავ-განწირულად ებრძოდა თოთხმეტის წლის განმავლობაში, იმ წამიდგან, როგორც კი ფეხი შესდგა საზოგადოებრივს ცხოვრებაში, ერთის მხრით საზოგადოების უნდილს წინააღმდეგობასა და უმადურებას და მეორეს მხრით ათას გვარ დაბრკოლებას, რომელიც ყოველ ნაბიჯზედ ხვდებოდა მას. ეს უკანასკნელნი საზოგადო მოღვაწეს, ქვეყნის მუშას იმდენად ვერ აფერხებენ და ვერ უცრუებენ გულს შრომისათვის, როგორც პირველი, ესე იგი საზოგადოების უმადურობა, და მერე იმისთანა საზოგა-

სობას, რომ ჩვენ პირველნი საგალობელს ვეტყოდით ტრანზიტის მოსპობას, თუ კი ამას კონტრაბანდის მოსპობაც შეეძლოს, მაგრამ ეს დიდად და დიდად საეჭვოა. თუ კი აქამდის კავკასიაზე საქონლის გადატანის დროს კონტრაბანდა შესაძლებელი იყო, ეხლა რაღა დაუშლის იმავე კონტრაბანდისტებს,—რომელნიც უფრო შეძლებულ წოდებას ეკუთვნიან და ყველგან ხელი მიუწვდებათ—რა დაუშლის ამ სიბნელეში ხელების მაფათურებელთ ტრაპეზუნის შოსედამ საქონლის შემობრუნებას და სამზღვარზედ კონტრაბანდით შემოტანას. ეს სამზღვარი იმოდენა მანძილზედ მიდის, რომ მასზედ დაყენებული დარაჯები, თუნდაც რომ ჯოჯოხეთის მანათობელ საშუალებას გაუმაგრდენ, მაინც ვერ შესძლებენ ყველგან თვალის დაჭერას და შედეგი ის იქნება, რომ თუ აქამდის ათსა და ოცს შემოჰქონდა კონტრაბანდით საქონელი, ეხლა ერთი და ორი შემოიტანს და იმდენს შემოიტანს, რომ უწინდელს ათისა და ოცისაგან შემოტანილს უდრიდეს.

## ახალი ამბები.

ახალ-სენაკიდამა გვწერენ, რომ იქაურს მაზრის ექიმს, თუ კაცმა წინდა-წინ ფული არ მიართვა, არსად არა კადრულობს წასვლასაო. აქამდის, მართალია ექიმი არა გვყავდა, მაგრამ ვაი ამ ყოლასაც—მარტო შეძლებულებს აძლევს შეღავათს ამისი ახლო ყოლაო.

ქუთაისიდამა გვწერენ, რომ უხიმერიონის მთა თუმცა კარგი და გრილი სამყოფია ზაფხულში, მაგრამ ეს სიგრილე უფრო აწუხებს უხიმერიონის მცხოვრებლებს, ვიდრე ასიამოვნებსო, რადგან მოქეიფე ხალხი იქ ამოდის დაბლობებიდამ და მთელის ღამეობით ზურნითა და დაფდაირით ქეიფს ეწევაო. მცხოვრებლები სულ შიშში არიან და ღამე კარში ვერ გამოსულან, თავს არავინ დაგვეცესო. პოლიცია არსად არის, რომ ამ უწესოებას ყური უგდოს; თვეში ერთხელ დესიატნიკსაც ვერა ნახავთ ამ გორაზედაო.

განჯის გუბერნიაში, შუშის მაზრაში, ჯანიატახის ზავოდში, 15 ივლისს მისულა ცამეტი თათარი (ვითომ ჩაფრები) და გამოუთხოვიათ სანახავად ამ ზავოდის დირექტორი ვილმანი, იმასთან პაკეტი გვაქვს უფროსისაგანაო. ეს ყოფილა საღამო-ჟამს 7-8 საათზე. ვილმანს დაუჯერებია და ეზოში გამოსულა. აქ უტაცნიათ ხელი, ღრეში ჩაუთრევიათ და იქ მოუკლიათ ბოლო. მასუკან მძიმედ დაუჭრიათ სიძე ვილმანისა—მიწის მზომელი ზერასიმენკო. ცოლი კი ამ უკანასკნელისა მეორე ეტაჟიდამ გადმოვარდნილა და დამტვრეულა. ყაჩაღებს 133 მან. სახელმწიფო ფული წაუღიათ და სხვა ყოველისფერი, რაც ვილმანსა და იმის სიძეს გააჩნდათ. თ. დონდუკოვ-კორსაკოვს მაშინვე ვიცე-გუბერნატორი, პროკურორი და ასი ყაზახი საქმის გამოსაძიებლად და ყაჩაღების დასაჭერად გაუგზავნია. დამნაშავენი დაჭერისათანავე სამხედრო სამსაჯულო კანონის ძალით დაისჯებიან.

ამას წინად სოფ. ჯვარცხმაში (ოზურგეთის მაზრაში) მთავრობის განკარგულებით შეუკრებიათ ცნობები შეძლებულსა და შეუძლებელს ხალხზედ, ქვრივსა და ობლებზედ კამერალიის აღწერისათვის. კორესპონდენტი გვწერს, რომ სიების შედგენის დროს ბევრი უკანონობა მოხდა და სიები სასოფლო მმართველობაში დიდხანს ეწყო, რომ რა არის გადაცვლ-გადმოცვლა მათი შესაძლებელი ყოფილიყო, რასაკვირველია, ჯეროვანის «ფეშქაშების» მირთმევის შემდეგ.

«კავკაზ'ა» სწერენ ს. კაკიდამ: ჩვენში სკოლები ძალიან ცოტაა; მთელს მაზრაში 67,000 სული მცხოვრებია და მხოლოდ ოთხი სკოლაა სოფლის სკოლებიანათ, ასე რომ 16,750 სულზედ ერთი სკოლა მოდის და ამის გამო ჩვენში პატარა გონებაგახსნილს კაცს ძვირად შეხვდებით.

გაზ. «Русскій Курьеръ»-ში სწერენ, რომ აქამდინ რკინის გზებზე ფოსტის ვაგონებში ყველას შეეძლო შესვლა მარკების სასყიდლად და წერილების გასაგზავნად; ახლა კი, როგორც ატყობინებენ ამ გაზეთს სარწმუნო წყაროებიდამ, ფოსტის დეპარტამენტის მმართველის თანამდებობის აღმასრულებელს მოროზოვს მოუხდენია შემდეგი განკარგულება: 1) ფოსტის ვაგონები უნდა იყვნენ მიბმულნი ბარგის ვაგონების უკან; 2) იქ მყოფ ფოსტის ჩინოვნიკებს ყოველთვის რევოლვერები თან უნდა ჰქონდეთ; 3) ფოსტის ვაგონები ყოველთვის ზამთარ-ზაფხულ დაკეტილნი იყვნენ; 4) იმ ჩინოვნიკებმა, რომელნიც ფოსტას მისდევენ, არ უნდა დაიძინონ, არც დღე და არც ღამე,—ამისთვის მოუხდენიათ კიდეც განკარგულება, რომ ფოსტის ვაგონებში დასაძინებლად საწოლები აღარ იყოს.

იმავე გაზეთში სწერია, რომ ამას იქით მაშინისტებათ რკინის გზებზე აღარ დაინიშნებიან იმისთანა პირნი, რომელნიც გულით ავადმყოფობენ (порокъ сердца) და ან იმისთანა ავადმყოფობა აქვთ, რომელსაც დალტონიზმს ეძახიან, ე. ი. რომელნიც ფერებს ვერ არჩევენ. ეს იმისთვის რომ გულის ავადმყოფობამ უეცარი სიკვდილი იცის და მაშინისტის უეცარმა სიკვდილმა შეიძლება მთელი მატარებელი საშიშს მდგომარეობაში ჩააგდოს. ამას გარდა ფერების გარჩევა მაშინისტისათვის უეჭველად საჭიროა, რადგან რკინის გზის ყარაულები სხვა-და-სხვა ფერის ბაირაღის, ან ფარნის გამოკიდებით ატყობინებენ მას გზის მდგომარეობას. ეს ზომები სხვა ქვეყნებში მიღებულია და ძალიან კაი შედეგიც მოსდევს.

## «დროების» კორესპონდენცია.

სურები, (გურია), 21 ივლისს. ზაფხულობით რომ ჩვენს სურებს, ან რომელიმე იმის ახლო-მახლო მდებარე საზოგადოებაში შეგხვდეს ცხოვრება, ჩემო ზატიკ-ცემულო მკითხველო, იმდენი სამწუხარო და გულის გამგმირავი სურათებსა ნახავ ჩვენის გლეხების ცხოვრებიდამ, რომ ქვის გული უნდა გქონდეს, თუ თვალები არ აგიცრემლიანდება, გულ დაუთუთქავად მაინც იცხოვრო. სხვას ყველას თავი გავანებოთ და განვიხილოთ აქ მხოლოდ ერთი ამ სამწუხარო სურათთაგანი.—ვთქვათ, დღეს ისეთი მუშაობის დღეა სოფელში, რომ გლეხის გაჭირვებულ ყანას ერთი მუშა ხუთ მანეთად უღირს. ამ დღეს შენ ხედავ ოფლში გაწურულს, თავ-ფეხ შიშველა გლეხს, რომელიც, მხარზედ ტომარა გადაკიდებული, დიდის გაჭირვების და მწუხების გამომხატველ სახით მოდის შენსას და გეღრიჯება: მიშველე, შენი ჭირიმე, სარჩო მომაკლდა, ცოლ-შვილიც შიმშილით მეხოცება და ხელ-მარტო კაციც ვცდები ამისთანა დღეს; ან მომეცი და ან მასესხე ახლის მოსვლამდის რამოდენიმე დღის საყოფი სიმინდი. ის თანახმა იქმნება თითქმის იმაზედაც, რომ აჩუქოთ რამოდენიმე გირვანქა სიმინდი (ნუ დაივიწყებთ, რომ გურული კაცი თხოულობს საჩუქარს!); მაგრამ ხშირად ვერ უსრულებთ ამ გაჭირვებულ კაცს თხოვნას, რადგან თქვენც იმ ტაფაში იწვით, რომელშიაც ის. საწყალი გლეხი ჯავრისაგან უფრო გულ გასიებული მიდის შენგან სხვასთან, იქიდგან კიდევ სხვასთან და ასე ამ პაპანაქებაში დაღოღიალობს სოფლებში, რათა ნასესხი ფულებით, «შვილის ფასად» იყიდოს სამი-ოთხი დღის სარჩო და სასიკვდილოდ გამზადებულ ცოლ-შვილს უშველოს. ხსენებულის სურათის მოწამე იქმნებით თითქმის ყოველ დღე და მოდი, ნუ დაიტანჯება თქვენი კაცთ-მოყვარე გრძნობა. რა არის მიზეზი, რომ ჩვენს გლეხებს არა ჰყოფნის სარჩო და ასე საცოდავად არიან? იქმნება, ვინმემ მათ სიზარმაცე შესწამოს და ჩვენს მიწას უხეირობა, მაგრამ ორივეში შემცდარი იქმნება. ჩვენი მიწა ძალიან ნოყიერი და მოსავლიანია და ჩვენი გლეხებიც დღე და ღამ «ცალ-უღელაში»—თოხში არიან გაბმულნი და მუდამ შრომობენ, მაგრამ ხსენებულს ჭირს თავიდამ მაინც ვერ იცდენენ. მიზეზი ამისი სხვათა შორის ჩვენს ხალხში გავრცელებული წარა-მარა უქმეებია, რომელთა რიცხვი თითქმის

---

დოების, რომლისგანაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ძმურად გვერდში ამოდგომა და ერთის მძიმე, მაგრამ პატიოსანის უღლის გაწევა. დღეს არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას ის, რომ პოეტი თ. გრ. ორბელიანი განსვენებულს სერგეის და ამის გვერდში მდგარს ღირსეულს მეგობრებს და თანა-მოღვაწეებს, ასე ვსთქვათ, თანა-მოიარალეებს, ეძახდა «ცრუ ლიბერალებს და ცრუ პატრიოტებს», როდესაც თითქო მოსთქმიდა იგი:

«ჰე, სასურველო,
გმირთა მამულო,
ნუ თუ შენ მართლა ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ-პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები»... და სხვ.

დიაღ, სერგეი მესხი მხოლოდ უგულო დაცინვას და განკიცხვას ხედავდა საზოგადოების მხრით და არა პატიოსანს, საქმიანს, ზნეობითს თანაგრძნობას და ნივთიერს დახმარებას. ამ გვარმა გარემოებამ ბევრს მოღვაწეს გაუცრუა და წაუხდინა გული, ბევრს აალებინა ხელი საზოგადოებრივს შრომაზედ და გაფანტა კანცელარიებში და სხვა-და-სხვა «შემოსავლიან ადგილებისაკენ». მხოლოდ სერგეი მესხი და კიდევ ორიოდე შერჩნენ თავიანთს ადგილს და უწინდებულად დაუწყეს ერთგულად წევა ათას გვარ დაბრკოლებისაგან დაგრეხილს ჰაპანს... იქნება, სერგეი მესხიც «მწუხარებით მზერდა მომავალს», იქნება იმასაც კი დრო და დრო ეჭვი შესდიოდა ხოლმე თავის პატიოსანს გულში ბურთის ღელოზედ გატანის შესახებ; მაგრამ იგი ზოგიერთივით არ წუნარდებოდა მაინც, იარაღს ხელიდგან არ აგდებდა, ერთხელვე ამართულს დროშას მოწინააღმდეგე ძალებს არ უთმობდა, არ «სწყევლიდა ფუჭად წარსულს». არა; ის თითქო ყოველთვის იმეორებდა იმავე ბარათაშვილის დაუვიწყარს და აზრით აღსავსე გოდებას:

«ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!»

და წუნარის, მაგრამ აუცილებელის ნაბიჯით მიდიოდა «ეკლიანს გზაზედ სოფლისა».

ამის შემდეგ ყოველი ქართველი უნებურად დაეკითხება თავის თავს იმ მიზეზის გამოსარკვევად, რომელიც ძალასა და ენერგიას არ უსუსტებდა განსვენებულს სერგეი მესხს. მართლაც, რომელი იდეა, რომელი დედააზრი ამხნევებდა ამ მოღვაწეს იმ გზაზედ სიარულში, რომელზედაც მხოლოდ ეკლები ჰქონდა ფიანდაზად დაგებული? რა აძლევდა მას სურვილს და ღონეს, აეტანა თითქმის შიმშილი, წყურვილი და სიცივე? ყოფილიყო ერთსა და იმავე დროს თოთხმეტის წლის განმავალობაში რედაქტორად, კორექტორად, გაზეთის ყოველის განყოფილების შემადგენელად? ჰქონოდა ერთად-ერთი ოთახი რედაქციად, სასტუმროდ, საძილო და სამეცადინო ოთახად, ესუნთქა რკინის ჰაერი და იმავე დროს ყოფილიყო უმადურის საზოგადოებით გარშემორტყმული?!

არა, ბატონებო, ამისთვის რაღაც სხვა არის საჭირო, აქ პირადს ანგარიშს ადგილი არა აქვს! მოღვაწეს უნდა ჰქონდეს რაიმე მაღალი იდეა

იმდენია, რამდენიც დღეა წელიწადში. ჩვენ, სურებლებს, სხვებზედ უფრო ბევრი საეკლესიოდ წოდებული უქმეებიცა გვაქვს; მაგ., რომელიმე მცირე წმიდანისთვის რამოდენიმე დღეს ვუქმობთ წელიწადში. საეკლესიო უქმეებს გარდა ბევრი სხვა ისეთი უქმეები ვიცით, რომელნიც არც ღვთისა და არც კაცისთვის სასიამოვნო არ არიან და, რომელნიც, არ ვიცი, როდინდელ კერპთ-თაყვანის მცემლობის დროიდგან არიან დარჩენილნი.—ჩვენი ხალხი უქმობს ქრისთვის და უწოდებს ამ უქმეს სახელად «ქაიჯრობას», უქმობს აგრეთვე აგვისტოში სამ დღეს ერთად «ჩიტ-მარიობას» «უვავმარიობას» და «თაგვ-მარიობას; ხალხი კიდევ უქმობს «შვიდ-მაისობას». ზემოხსენებულთ მსგავსი ჩვენმა ხალხმა სხვა მრავალი უქმეები იცის, რომელთაც ქრისტიანობაში არავითარი აზრი და მნიშვნელობა არ აქვთ. მაგრამ ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ, სურებლებს, ყოველ კვირაში ტყუილუბრალოდ გვეკარგება დღე-ნახევარი.—ყოველ კვირაში ჩვენი მუშა ხალხი უქმობს მთლად პარასკევს და შაბათის ნახევარს. რომ ჰკითხო ხალხს მიზეზი ამ დღეების გაუქმებისა, ის ასე მოგიგებს: ჩვენ ამ ნაირი დებულება გვაქვსო და ვერ ვუღალატებთ ძველ ჩვეულებასა. ამ უსაფუძვლო მიზეზს ადგილობრივი მღვდელი ბეჯედს ასვამს და ამოწმებს. ზოგიერთნი გლეხთაგანნი მწარე გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ ისინი ვერ ასწრობენ სარჩოს მომუშავებას, გაუბედეს ამ არაფერზედ დაფუძნებულ უქმეებს შეშლა და იმუშავეს, მაგრამ ვაი იმათი ბრალი! მღვდელი და ერი მათი მწყევლელი და მლანძღველი შეიქმნა.—ისე წირვა არ გათავდება ჩვენს ეკლესიაში, რომ შემოსილმა მღვდელმა არ გამოაცხადოს: დაწყევლილი იყოს ის კაცი, რომელიც პარასკევს მთლად არ იუქმებს და შაბათს სადილს შემდეგ (სოფელში სადილის დრო ათ საათს არ ასცილდება), და ნურც თქვენ (მიუბრუნდება ხალხს) იქონიებთ იმისთანა კაცთან ნურავითარ კავშირს ნურასოდეს; ამაზედ ხალხიც ზანს აძლევს.

არ ვიცი რა საჭირო უნდა იყოს საქმის დღის გაუქმება! იმისთვის ხომ არა, რომ ხალხში უსაქმობის გამო გავრცელდეს სმა, ქურდობა და სხვა ავაზაკობა!? წარმოიდგინეთ, ყოველ კვირაში დღენახევარის დაკარგვა სხვა ათას ნაირ კანონიერ და უკანონო წლიურ უქმეებთან რამდენს მოაცდენს და რამდენს ზარალს მისცემს საწყალ გლეხებს. ნუთუ სასულიერო მთავრობის მოვალეობას არ შეადგენს ყურადღება ამისთანა საქმეებისადმი! ნუ თუ ის არ მიიღებს ზომებს, შეამციროს და მოსპოს ჩვენში იმისთანა უქმეები, რომელნიც ხალხსაც დიდ ზარალს აძლევენ და სარწმუნოების წინაამღდეგნიც არიან! სრულს იმედს ვიქონიებთ, რომ ზემოთქმულს ჩვენს მდგომარეობას მიექცევა ჯეროვანი ყურადღება, ვისგანაც ჯერ-არს.

სურებელი.

**ოზურგეთი, 18 ივლისი.** რასაკვირველია, ბევრს ეხსომება, რომ ამ წელში «დროების» საშუალებით საყოველთაოდ იყო გამოცხადებული ის საზიზღარი და პატიოსანთა გვამთა შემაძრწუნებელი მოქმედება, რომელიც ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. ბირშერტმა ჩაიდინა. იქ იყო მოხსენებული, რომ ბირშერტმა ათასხუთასი მანათი სასწავლებლის სპეციალურ საშუალებიდამ მიირთვაო და დროებით ღარიბის შეგირდების ფულებით ისარგებლაო. ამასთანავე იყო მოხსენესული, რომ ბ. ბირშერტი პასუხისგებაში მისცეს და ოზურგეთის მომრიგებელმა მსაჯულმა 10 დღის დატყვევება გადაუწყვიტაო. ყველა ეს მართალია და ვისაც ეჭვი შემოაქვს, შეუძლიან მომრიგებელ მსაჯულთან მიიქცეს და იქ შეიტყობს ბირშერტის პასუხისგებაში მიცემის ამბავს. ფულების შეჭმა აღმოაჩინა რევიზიამ, რომელიც მოახდინეს ამავე სასწავლებლის მასწავლებლებმა ქუთაისის სახალხო სკოლების უწინდელის დირექტორის ბ. ორლოვის განკარგულებით. ამ ძველ ამბებს ამასაც დაუმატებთ: ყველა მოსწავლენი საგრძნობლად გაიძახიან, რომ ზემოხსენებული ინსპექტორი მოსვენებას და დროს გატარებას, ქალალდის თამაშს, ღვინის სმას არჩევს და ბავშვების წარმატებას სწავლაში კი სრულებით ყურს არ უგდებსო. ეგეც საეჭვო არ არის; თუ ეჭვობთ, ჰკითხეთ ოზურგეთის საზოგადო კრებას (общественное собраніе), რომელშიაც თავის დღეს ატარებს ბ. ბირშერტი. ამ ფულების დაფანტვამ და სხვა ქცევამ, რომელიც არ შეშვენის ახალმოზრდების უმანკო გულში პატიოსანის ზნეობის ჩამნერგველს მასწავლებელს, ბ. ბირშერტს სრულიად დაუკარგეს ნდობა, როგორც მასწავლებლებთან, ისე ამხანაგებთან, მოსწავლეებთან და საზოგადოებასთან. საზოგადოება, მოთმინებიდამ გამოსული, გულწრფელად ამბობს: «რა ღმერთი გაგვიწყრა, უწინდელ ინსპექტორს ვსწუნობდით და ახლა უარესი გვყავსო!» ამ გარემოებებმა ბირშერტი ჩააფიქრა და ამ ფიქრში ღვინის გავლენის ქვეშ უდანაშაულოდ კიდევაც გალანძღა ერთი აქაური აზნაური ივანე ჯაყელი, რომელმაც საჩივრით მიმართა აქაურს მომრიგებელს მსაჯულს. მომრიგებელმა მსაჯულმა საფუძვლიანად დაინახა ი. ჯ. თხოვნა და ბირშერტს 10 დღის პატიმრობა გადაუწყვიტა; აკლდა მხოლოდ ამ საქმეს სისრულეში მოყვანა. მაისში მოელოდენ ახალს დირექტორს ბატ. ლევიცკის. ისარგებლა ამ შემთხვევით ი. ჯაყელმა.—«სწორედ უნდა ვაგრძნობინო ბირშერტს მისი დანაშაულობაო,» იფიქრა იმან და სთხოვა მსაჯულს, სისრულეში მოეყვანა ბირშერტის დატყვევება. მსაჯულმაც დაიბარა ბირშერტი. შეიტყო თუ არა ეს ბირშერტმა, დაადგა სუსხი და თავის ცოლ-შვილით მოიდრიკა მუხლი მსაჯულის წინ.—«შენა ხარ ჩემი დიდებაო», ეუბნებოდა ბირშერტი მას! «გინდა მიპატიებ, გინდა დაღუპავ ჩემს ცოლ-შვილსაო, შემარიგე ი. ჯ., ბოდიშს მოვითხოვ მასთან, რა ნაირი ფორმითაც უნდაო! ერთის სიტყვით, თუ არ მიშველი, დამეკარგა ლუკმა პური საჭმელად და დამეხოცა ცოლ-შვილიო!» ამ ნაირის «მელა-კუდურის» ქცევით და ლმობიერის სიტყვებით შეაბრალეს თავი მსაჯულს; მოიწვია მსაჯულმა ი. ჯაყელი და სთხოვა მას ხელი აელო საქმეზედ და შერიგებოდა ბირშერტს... ბირშერტმაც მუხლ-მოდრეკილმა [...] მოითხოვა ი. ჯაყელის წინ: «შემცდარი ვართ თქვენს წინაშე და მოგვიტევეთო», ეუბნებოდენ ისინი (ცოლქმარი). ჯაყელმა იფიქრა: «კაცს კანონი კი არა, სინიდისი უნდა სჯიდესო» და შეურიგდა ბირშერტს.

აი ამისთანა საპატიო ხალხის გამანათლებელმა კაცმა, მოგვეხმარა ღმერთი, სამსახური დაასრულა ისე უმანკოდ, როგორც ზემოდამ იცით; დაიმსახურა კაცმა 700 მ. პენსია.—ამ უკანასკნელ 15 დღის წინად ხმა დაჰყარეს: «ბირშერტი სამსახურიდამ დაითხოვეს და უადგილოდ დასტოვესო». ამ ხმებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზედ. ყველანი ამბობდენ: «ღმერთს ვმადლობთ, თუ მოგვაშორესო». მხოლოდ ერთი ბირშერტი შეგვიწუხდა. ზემოხსენებულმა ამბებმა და კიდევ ამ ხმებმა ისეთი ზარი დასცეს მას, რომლის მსგავსი თავის დღეშიაც არ გამოუცდია. სიცხლის ფერი აღარა ჰქონდა და მისი მჭუნვარე პირისსახე გაგაოცებდათ. ამ ზარდაცემულმა ინსპექტორმა გასწია თბილისს მზრუნველთან, ალბად სათხოვნელად. იქ რა გაარიგა, არ ვიცით. ჩამოვიდა გუშინ-წინ და ახლა ხმა არის დავარდნილი, რომ ბირშერტისათვის მიუციათ სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორობა და «შემდეგისათვის დირექტორობას მომცემენ მოგილევის გუბერნიაში, რასაც მე დიდი ხანია ვცდილობდიო» ამბობს ბირშერტი. ეს ხმები ჭორები არ გეგონოთ, ეს ნამდვილი მისი სიტყვით-სიტყვა გახლავთ. მაგრამ ეს ხმა სიზმარში გაჩენილა, თუ ოცნების ნაყოფია, ვერ გავიგეთ. ოზურგეთის საზოგადოებამ დიდად სასიამოვნოდ მიიღო ეს ამბავი (რისთვის, თქვენც მიხვდებით) და ღმერთსა სთხოვს იგი, რომ ნამდვილად გადაიყვანონ ოზურგეთიდგან ბ. ბირშერტი,—«ჩვენ კი მოგვაშორონო და იქ თუ უნდა მზრუნველის ადგილი მისცენო», ამბობენ. მაშინ იქნება ერთი ღვინის მსმელი მოგვაკლდეს და ღვინო გაგვიაფდეს,

---

შეხორცებული თავის არსებაში!.. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია, რომ მოღვაწეს არ გაუქრეს გულში ერთხელ აღგზნებული საღმრთო ცეცხლი. ახლა, რა იყო ეს დედა-აზრი? ამის პასუხი შეგვიძლიან, მოვნახოთ ჩვენ განსვენებულის სერგეი მესხის ნაწერებშივე; იმ სიტყვებში, რომელნიც იმის წყლით ავსილს პირს წარმოუთქვამს «დროების» ფურცლების საშუალებით, თუმცა ნახევრად, მაგრამ იმდენად გარკვევით კი მაინც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მკითხველისათვის მისი აზრის გაგება. განსვენებულმა სერგეიმ ძალიან კარგად იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე დაჭერილი; კარგად ჰქონდა შეგნებული მას ის პირობები.

რომელიც უნდა ჰკრებდეს თავის გარშემო და აკავშირებდეს ყველა ცნობიერს... განა ეს დედა-აზრი ყველასაგან არის აღიარებული, განა ყველასაგან არის ცნობილი იმ გვარს დედა-აზრად, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იყოს თუნდ მომავალში და რომლისთვისაც შრომას რაიმე აზრი ჰქონდეს?!. მაი, რომ არა!.. რამდენს მიაჩნია ეს აზრი «წარწყმენდად»! მე ვამბობ არა უმრავლესობაზედ, არამედ საზოგადოების შეგნებულს, სწავლა მიღებულს ნაწილზედ, რომელსაც ამ სიტყვის: ჩვენც გვინდა ვსცოცხლებდეთ,—დედა-აზრი სისულელედ მიაჩნია და ტვინის ანორმალურ მდგომარეობის ნაყოფად. ეს ვაჟ-ბატონები, ყოველს რეალურს ნიადაგს მოკლებულნი, ჰქადაგებენ სრულიად წინაამღდეგს აზრს, თუ ლიტერატურაში არა, საზოგადოებაში მაინც. სიცი ვითომც წელ-გამაგრებულნი არიან ისტორიულის კანონებით და ამაზედ უფრო ძლიერის და უტყუარის იარაღით,—ფიზიკურის ბუნების კანონებით. ეს კოსმოპოლიტები, მთელის მსოფლიოს ვითომ ჭირისუფალნი, ლაღადებენ, რომ ბუნების კანონით, დარვინის თეორიით,—მხოლოდ ერთის ხალხისთვის შრომა, დასნეულებულის ტვინის ნაყოფი არისო...

თავის დედა-აზრისათვის შრომობდა სერგეი მესხი გაუწყვეტლივ, იბრძოდა მედგრად რამდენადაც და როგორც კი შეეძლო და პატიოსნად, ამ დედა-აზრს ემსახურებოდა იგი ერთ-გულად და ერთხელაც არ უღალატნია მისთვის; ამ ეროვნულის იდეისათვის სწერდა მისი კალამი, შრომობდა მისი მარჯვენა, სანამ კი ფიზიკური შეძლება ჰქონდა, სანამ მისი ფილტვები, ნამეტანმა ჯაფამ თან არ გადიტანა... ეს შეადგენს შენს უტყუარსა და საუკუნო ძეგლს, ნეტარ-ხსენებულო სერგეი!.. სიმართლე და ჭეშმარიტება რჩება ყოველთვის გამარჯვებული და ამიტომ შენც, დღეს ტოლებში გამოკლებულო სერგეი, როგორც სიმართლისა და ჭეშმარიტების უანგარო მსახური, გამარჯვებული ხარ!.. შენც მოგივა ის ნეტარი დრო, როდესაც შეგვძლება ერთად შენს თანა-მოღვაწეებთან ლაღად-ჰყო: სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი და, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?!..

ბოხლეველი.

და ქალაქში ცოტა ფული წაიღონ აქაურმა ჩინოვნიკებმა. ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ამ ხმებმა მოსწავლეებზედ, რომელნიც მოშორდებიან ერთს ზარმაცს დესპოტს და რომელნიც თამამად გაიძახიან: «ღმერთმა ააშენოს მისი დაქცეული ოჯახი, ვინც ჩვენს ბედ-ილბალში მიიღო მონაწილეობა და ეს მკაცრი რაინდი გაგვაშორა, ახლა სიამოვნებით ვიზრუნებთ სწავლისათვისო»!—განსაკუთრებით სასიამოვნოა ეს ხმები იმ პირთათვის, რომელნიც კარგად—დაახლოვებით იცნობენ ბირშერტის პირადს ღირსებას და მის პედაგოგიურ მოქმედებას, და ამასთანავე კარგად გამოარკვეულად იციან სწავლულის პედაგოგის დანიშნულება და მნიშვნელობა მოზარდ ახალ-თაობისათვის.

## რუსეთი

— ამას წინად რუსულმა გაზეთებმა მოიტანეს ხმები, რომ მთავრობას სწადიან, საშუალო სასწავლებლებში ისევ შემოიღოს ცემა და სხვა ამ გვარი სხეულით დასჯაო. ეს ამბავი ჩვენც თავის დროზე ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს. ახლა იწერებიან რუსულს გაზეთებში, რომ ეს ხმები მართალი გამოდგაო და ეს საგანი კიდეც გარდასცეს გასასჯელად სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ რჩევებსაო. პეტერბურღის მზრუნველის რჩევას უკვე გაუსჯია ეს კითხვა და ხმის უმრავლესობით გადაუწყვეტია რომ შეგირდების სხეულით დასჯა საჭირო არის მხოლოდ დაბალ კლასებშიო, ისიც მაშინ, როდესაც სხვა აღარა ღონისძიებით არ შეიძლება უმაწვილის გასწორება და შეგირდის სასწავლებლიდამ გამოგდების მეტი ღონე აღარა დარჩენიათ რაო; მხოლოდ იმისთანა შემთხვევაში დაუნახავს საჭიროდ მზრუნველთა რჩევას შეგირდის სხეულით დასჯა, თუ მათნი მშობელნი, ნათესავნი და აპეკუნებიც თანახმანი იქნებიან ამაზედ. თუ სხვა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა რჩევების უმეტესობაც იმ აზრისა იქნება, რა აზრისაც არის პეტერბურღის მზრუნველთა რჩევა, მაშინ ეს კითხვა გაისინჯება კანონთ-მდებლის წესით, თუ არა და, არავითარი შედეგი არ ექნება.

— მოსკოვში ორი შემთხვევა ყოფილა ხოლერით ავად-გახდომისა. დისსენტერიაც ძალიან თურმე გაძლიერებულია იქ, ასე რომ ამ თვის 16 რიცხვამდინ 207 კაცი ყოფილა ავად ამ სნეულებით.

— როგორც იწერებიან, ევროპაშიაც გაჩენილა ხოლერა. 4 ივლისამდის სულ ოთხი შემთხვევა ყოფილა ხოლერით სიკვდილისა: ერთი გამბურგში მომკვდარა, ერთი ბრესლავში, ერთი დუნსბურგში და ერთიც ლანდსტუტში (ბავარიაში).

— ოდესიდამ იწერებიან 21 ივლისს, რომ გუშინდელ დღეს ხერსონის საად-გილ-მამულო ბანკისგან იყო დანიშნული გასაყიდად 233 ვადას გარდაცილებული მამული, მაგრამ ვაჭრობის დაწყებამდის ყველამ შემოიტანა ვალი გარდა ოც-და-ექვსისა. ამ ოც-და-ექვსს მამულში გაიყიდა მხოლოდ სამი.

— უკანასკნელ დროს მმართებლობას განსაკუთრებული ზომები მიუღია საზოგადოდ პირუტყვის ავადმყოფობის (ეპიზოოტია) მოსასპობად და უფრო რქიანის საქონლის ჭირის წინააღმდეგ. ეს სენები დიდს ზარალს აძლევს საქონლის პატრონებს და სოფლურს მეურნეობას. რადგანაც ეს ავადმყოფობა ვრცელდება რუსეთის გუბერნიებში იმ საქონლის ნახირისაგან, რომელიც აქეთ-იქით დაუდით დასაკლავად, ამისათვის საჭიროდ დაინახეს, რომ ეს ნახირი რკინის გზებით ატარონ ხოლმე და ახალად დაკლული საქონლის ხორციც შორიდამა ზიდონ.


## განცხადებანი

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—11)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი; დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—96)

## სტამბა
ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.

ინგლისის მაღაზიაში

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—13)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სპირტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### საკლობუსო კალმები




რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლუქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორავსი), თუთრუულისათვის, პატარა ხალხისა ტაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწყვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპრიცები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმით ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—54)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 გირ. | | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.


Дозвоцензурою Тифлисъ, 28 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.